საქართველოს მთავრობის

დადგენილება №101

2026 წლის 9 მარტი

ქ. თბილისი

„2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/02/2026, 430020000.10.003.025604) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის:

1. „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდებით/ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა (დანართი №1) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართ №1-ის შესაბამისად.

2. „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამაგისტრო გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართ №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**